ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1011248

ნომერი: AR1179112

თარიღი : 21.11.2013

გაცემის თარიღი : 29.11.2013

გაცნობის თარიღი : 29.11.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , თეთრ სახლებთან ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რობიზონ გეთიაშვილი პ/ნ 01014005996
- თბილისი, ლ.ანდრონიკაშვილის ქ. N23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად უკვე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სოფელ დიღომში, თეთრ სახლებთან არსებული საკადასტრო გეგმით #01.72.14.019.250 მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 1 (სზ–1)–ში.

ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრები:

სზ–1

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,5;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 0.8
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება №4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"-ს მიხედვით საცხოვრებელ ზონა 1 (სზ–1)–ში შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ სასოფლო-სააგარაკო განაშენიანება, განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები (იხ. დანართი).

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნულ ფუნქციურ ზონაში მრავალფუნქციური–მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა არ არის დასაშვები.

შესაძლებელია აირჩიოთ მხოლოდ საცხოვრებელ ზონა 1 (სზ–1)–ში დასაშვები ძირითადი ან სპეციალური ზონალური ნებართვით დასაშვები ობიექტის ფუნქცია.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.